

სკოლის გაზეთი

ჩვენ და რობოტები

საგანმანათლებლო რობოტები „ევროპულ სკოლაში“ სასწავლო პროცესში დანერგილი ინოვაციური ტექნოლოგიური რესურსია. მათ განათლებაში დიდი ცვლილებების ინიცირების პოტენციალი აქვთ. ისინი ადვილად მოიპოვებენ მოსწავლეთა სიმპატიას მომხიბლავი იერსახისა და ჰუმანოიდური ქცევების წყალობით. ისინი ზრდიან მოზარდთა მოტივაციას ყურადღების მიპყრობით, ცნობისმოყვარეობის გაღვიძებითა და სწავლისადმი ინტერესის სტიმულირებით.

სასწავლო პროცესში რობოტების ინტეგრირებით მოსწავლეები ხვდებიან, რომ ინჟინერია და პროგრამირება სახალისოა და აბსტრაქტულ ცოდნას კონკრეტიკას სძენს. რობოტების დახმარებით სწავლისას ჩვენს მოსწავლეებს უვითარდებათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის უნარი, კომუნიკაციისა და სხვა მნიშვნელოვანი უნარები.



TEDx ღონისძიება

წლებანდელი TEDxIBEuropeanSchool ღონისძიების თემა იყო „წინ სიარული“. პანდემიამ მსოფლიო თავდაყირა დააყენა, ზეგავლენა მოახდინა ყველაზე: ზრდასრულ ადამიანებზე, ბავშვებსა და მოზარდებზე. ღონისძიების სპიკერებს სჯერათ, რომ ჩვენი რეალობა და მომავალი ჩვენს ხელთაა. ისინი გვთავაზობენ გზებს, თუ როგორ გავუმკლავდეთ სირთულეებს, დავაღწიოთ თავი სტაგნაციას, მოვსინჯოთ ახალი შესაძლებლობები, მივაღწიოთ წარმატებას და რაც მთავარია, გავხდეთ ბედნიერები. არ შეჩერდეთ, ახალი ენერგიით შევექმნათ ნათელი მომავალი "ევროპული სკოლის" TEDx სპიკერებთან ერთად!



ახალი სამაუწყებლო სტუდია, ახალი საინფორმაციო გადაცემა, ახალი წამყვანები

ES News-ის წამყვანმა მიშკო გაბაიძემ თავის ინტერვიუში გაგვიზიარა გადაცემის დროს შეძენილი გამოცდილება.

გაგვიზიარე შენი, როგორც დებიუტანტი ტელეწამყვანის, გამოცდილება, ემოციები ყოველთვის მემახსოვრება ჩემი პირველ გასულა ეთერში, რადგან ძალიან ამაღელვებელი, გამოწვევებით სავსე, პროდუქტიული და სიხარულით დატვირთული იყო. ამ გამოცდილების წყალობით, უპირველეს ყოვლისა, განვივითარე კამერების წინ კომუნიკაციის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მქონია მსგავსი გამოცდილება წარსულში, ყოველთვის თავდაჯერებული არ ვყოფილვარ ტელესტუდიაში გადაღებებისას.



ეს გამოცდილება ნამდვილად დამეხმარა, რომ გადამელახა გარკვეული ბარიერი. გადაცემის ჩაწერამდე ერთდროულად საკმაოდ ანერვიულებული და სიხარულით სავსე ვიყავი, მაგრამ მეგობრული და კომფორტული გარემოს წყალობით ნერვიულობა და შიში გამიქრა და პოზიტიური განწყობით, გუნდთან ერთად, მივიყვანე საქმე ბოლომდე - წარმატებული გადაცემის შექმნამდე.

რა მოგეწონა ყველაზე მეტად საინფორმაციო გადაცემა ES News-ის წამყვანობისას?

გადაცემის წამყვანობა ნამდვილად დიდი პრივილეგია იყო, ამ გამოცდილების საუკეთესო ნაწილი კი გახლდათ კმაყოფილების შეგრძნება მას მერე, რაც გადაცემა გამოქვეყნდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი საათი გავატარეთ მუშაობაში და ეს პროცესი სრულებით არ იყო მარტივი, თავდაჯერებით შემოიღია ვთქვა, რომ თავდადებას გაამართლა.

თუ იყო რაიმე სირთულე გადაცემის ჩაწერისას? როგორ გაუმკლავდი მას?

ყველაზე დიდი გამოწვევა ამ გამოცდილებაში იყო სწორი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარება მაყურებელთან. რაც მთავარია, გადაცემის ჩაწერისას, პროფესიონალთა გუნდმა მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია და მათი ხელშეწყობით მარტივად გადავლახე ყველა დაბრკოლება. ამისხსენს, თუ როდის, რომელ კამერაში უნდა მეყურობინა, როგორი სისწრაფით მელაპარაკა და ა.შ. ეს ყველაფერი დამეხმარა, რომ დამეძლია შიში და ნერვიულობა და გამეგრძელებინა გადაცემაზე პროდუქტიულად მუშაობა.

რა თვისებები უნდა ჰქონდეს საინფორმაციო გადაცემის წამყვანს, რომ მისი ეთერი იყოს ხარისხიანი და ეფექტური?

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც წამყვანს უნდა გააჩნდეს, არის ეფექტური კომუნიკაციის უნარი და თვითკონტროლი. თუკი წამყვანს აქვს კარგი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარები, ის შეძლებს, მაყურებელს მკაფიოდ მიაწოდოს მთავარი მესიჯი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ, შეუძლებელია წამყვანმა აირიდოს ღელვა და ემოციები, შესაბამისად საჭიროა, მას გააჩნდეს ემოციების კონტროლის უნარი, რომ არ დააქვეითოს აუდიტორიასთან მისი კომუნიკაციის ხარისხი.

შენი აზრით, რა გახდის საინფორმაციო გადაცემა ES News-ს წარმატებულს და პოპულარულს?

ვფიქრობ, საინფორმაციო გადაცემა ES News-ი აუცილებლად მოიპოვებს პოპულარობასა და წარმატებას პროფესიონალიზმის წყალობით. ახალი საეთერო სტუდია ძალიან ეფექტურია, მომუშავე გუნდიც მაღალპროფესიონალურად მიუდგა ამ ყველაფერს, შესაბამისად პროდუქტის საბოლოო ხარისხიც სათანადო იყო. ვთვლი, რომ გადაცემის მაღალი ხარისხის წყალობით მაყურებელს აუცილებლად ენდომება ES News-ის გრეგულარულად ყურება. ვიმედოვნებ, ES News-ს ეყოლება ასობით მაყურებელი, ყველა, ვისაც განათლება, „ევროპული სკოლა“, მისი ისტორია და თანამედროვე ცხოვრება აინტერესებს.

მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე გიორგი გელაძე გახდა



5 ნოემბერს „ევროპულ სკოლაში“ ჩატარდა მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები, რომელმაც დემოკრატიული პროცესები გააცოცხლა სასკოლო გარემოში. მოსწავლეებმა სასურველ კანდიდატს მისცეს ხმა და ამავდროულად არჩევნების პროცედურებში ჩართულობით სერიოზული გამოცდილებაც მიიღეს. არჩევნებში სამივე პროგრამის (ქართული პროგრამა, IB და AHS) VI-XII კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ხმის მიცემის პროცესი დაიწყო 9:30 საათზე და დასრულდა 14:00 საათზე. პროცესმა მშვიდად ჩაიარა, არ დაფიქსირებულა დარღვევები. ხმების დათვლის პროცესში ადმინისტრაციის

წევრებთან ერთად, მეტი გამჭვირვალობის მიზნით, ჩართულნი იყვნენ თავმჯდომარეობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირები.

არჩევნების შედეგები სკოლის სააქტო დარბაზში გამოცხადდა, მოსწავლეები ონლაინ ესწრებოდნენ ღონისძიებას Zoom პლატფორმაზე. ყოფილმა თავმჯდომარემ, ანამარია იაკობიძემ მიმართა კანდიდატებს და სამომავლო წარმატება უსურვა მათ. საზოგადოებას სკოლის დირექტორმა სოფიო ბაზაძემ წარუდგინა გამარჯვებული კანდიდატი. მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე გახდა გიორგი გელაძე.

ასტრიდ ლინდგრენის კვირეული

UNESCO-ს გადაწყვეტილებით 2021 წელს ჩვენს დედაქალაქს „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სტატუსი მიენიჭა. პროგრამის ფარგლებში „ევროპულ სკოლაში“ მსოფლიოში ყველასთვის საყვარელი საბავშვო მწერლის „ასტრიდ ლინდგრენის კვირეული“ გაიმართება. არაერთი ლიტერატურული, შემეცნებითი და გასართობი აქტივობა ჩატარდა. ერთი დღით მოსწავლეებმა პეპის, კარლსონის, რონიას და ემილის კოსტიუმები მოირგეს; „მწერალთა სახლიდან“ გვესტუმრა საბავშვო მწერალი ვასო გულეური; საჯარო ბიბლიოთეკიდან - გიორგი კეკელიძე; მოეწყო მოსწავლეთა ნახატების ექსპოზიცია; „სულაკაურის გამომცემლობამ“ ღია წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა, „მოსიარულე ბუდრუგანა“ გამოგვიგზავნა. აგრეთვე მოსწავლეებს სიტყვით მიმართა შვედეთის ელჩის პირველმა მდივანმა ილვა ფესტინიმ; ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა 2021 წლის ლინდგრენის პრემიის ნომინანტ მწერალ ირმა მაღაციძესთან თემაზე: „ასტრიდის სამყარო უნიბაკენში“ და სხვ. კვირეულის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება და წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.



ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან



სოციალური პასუხისმგებლობა „ევროპული სკოლისთვის“ ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. სკოლა სხვადასხვა საშუალებას მიმართავს საზოგადოებაში დადებითი წვლილის შესატანად. ამჯერად საოკუპაციო ხაზთან მდებარე საზღვრისპირა სოფელ მერეთის საჯარო სკოლას ვესტუმრეთ და პროექტორი, დაფები და წიგნები გადავცით საჩუქრად, რათა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდეს ადგილობრივი მოსწავლეებისთვის. „ევროპულმა სკოლამ“ პროექტორი სულ ცოტა ხნის წინ ქ.სენაკში მდებარე აფხაზეთის #7 საჯარო სკოლასაც უსახსოვრა. აღნიშნული საქველმოქმედო აქტივები მწერალ გიორგი კეკელიძის ხელშეწყობით ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტ „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში განხორციელდა.

ჯანსაღი ცხოვრების წესი

ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ზრდა-განვითარებაში. „ევროპული სკოლა“ ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ჯანსაღი ჩვევები, რომელიც ზრდასრულ ასაკშიც გაჰყვებათ.

2021- 2022 სასწავლო წელს „ევროპული სკოლის“ ქართულ პროგრამაში დაინერგა პროექტი, რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ამ პროექტის ფარგლებში პირველ სემესტრში ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება. მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით მოზარდები მხიარულ სტარტებში ჩაერთვნენ. მოვიწვიეთ ენდოკრინოლოგი, რომელიც მოსწავლეებს ასაკობრივ თავისებურებებზე ესაუბრა და მოზარდებისათვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხა.

სტომატოლოგების ვიზიტისას მოსწავლეებს ჩაუტარდათ საუბარი პირის ღრუს მოვლის თემაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ღრუს ჰიგიენას ჯანმრთელობისათვის და რა წესებს უნდა იცავდეს მოზარდი ამ მხრივ ყოველდღიურად.

უფროსკლასელებისთვის ჩატარდა მნიშვნელოვანი შეხვედრები მედიკოსებთან. საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა მოისმინეს ლექციები: ნიკოტინის ზეგავლენა ორგანიზმზე, ალკოჰოლის ზეგავლენა ორგანიზმზე.

ქართული პროგრამა მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშესაწყობად მომავალშიც არაერთ საინტერესო შეხვედრას და ღონისძიებას გამართავს.



შენი მარკა



მარო მაყაშვილი – ახალგაზრდა ქალი, რომელიც იცავდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას, წითელი ჯვრის მოწყალების და, რომელიც 19 წლის ასაკში დაიღუპა საქართველოში წითელი არმიის შემოჭრისას, პირველი ქალი, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

2021 წელს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და საქართველოს ფოსტის ერთობლივი კამპანიის ფარგლებში, გამოვიდა საფოსტო მარკა მარო მაყაშვილის გამოსახულებით. ოქტომბრის თვეში „ევროპული სკოლის“ ქართულმა პროგრამამ უმასპინძლა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას.

წითელი ჯვრის წარმომადგენელმა საინფორმაციო შეხვედრაზე კამპანიის მიზანი, მოხალისეობის მნიშვნელობა აუხსნა მოსწავლეებს. მოზარდებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარო მაყაშვილის, დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოს, გმირობამ.

„ევროპული სკოლა“ არის სკოლებს შორის პირველი, რომელიც შეუერთდა კამპანიას #შენი მარკა, ჩართო აღნიშნულ კამპანიაში მოხალისე მოსწავლეები და დაიწყო შემოწირულობების შეგროვება წითელი ჯვრის საზოგადოების ბენეფიციარებისთვის.

ლუკა ჟღენტი საქართველოს ჩემპიონია

„ევროპული სკოლის“ მოსწავლე ლუკა ჟღენტმა სამბოში, 2005 და 2006 წლებში დაბადებული მოზარდების კატეგორიაში, საქართველოს პირველობა მოიპოვა. „7 წლიდან დავდივარ ძიუდოზე, ბოლო ორი წელია ვვარჯიშობ სამბოზე,“ –ამბობს ლუკა. ლუკა ჟღენტი 17 დეკემბერს კვიპროსში ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

„ევროპული სკოლა“ ულოცავს ამ დიდ გამარჯვებას და წარმატებას უსურვებს მას.



საქველმოქმედო აქცია

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად დააორგანიზეს საქველმოქმედო აქცია, რომელიც ეძღვნებოდა მსოფლიო სურსათის დღეს. მოსწავლეებმა მათ მიერ მომზადებული საკვები გადასცეს ბერი ანდრიას ობოლთა სახლს. ჩვენი მოსწავლეები გამოირჩევიან დამოუკიდებელი ინიციატივებით და რეგულარულად ერთვებიან გლობალური მნიშვნელობის საკითხებში, რაც საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის CAS ელემენტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.



მულტიკულტურულობა და PYP

თემატური გეგმის „ვინ ვართ ჩვენ?“ ფარგლებში მე-4 კლასის მოსწავლეებმა აქცენტები გააკეთეს გლობალურ მოქალაქეობაზე, განსხვავებების მიუხედავად სხვათა პატივისცემაზე, გაეცნენ მრავალ ქვეყანას და მსოფლიო კულტურას. მიიღეს ინფორმაცია ენების, რელიგიების, დღესასწაულების, ტრადიციებისა და საკვების შესახებ. შემაჯგუშელ პროექტად მოსწავლეებს დაევალით საკუთარი კულტურის წარდგენა კლასისთვის. ბავშვებმა ხალისით გააცნეს თანატოლებს მშობლიური ქვეყნის საკვები, დღესასწაულები, გამოჩენილი პირები, მოასმენინეს სიმღერები, ანახეს ტრადიციული ცეკვები. მოზარდებმა არა მხოლოდ სიამოვნება მიიღეს ამ პროექტით, არამედ გაიაზრეს, რომ განსხვავებულობაშია მათი უნიკალურობა და სხვათა პატივისცემა IB მოსწავლის პროფილის მთავარი მახასიათებელია.

შეფასების კომისიის ვიზიტი


17-19 ნოემბერს მნიშვნელოვანი მოვლენა, IB PYP პროგრამის დისტანციური შეფასება განხორციელდა, რამაც PYP-ის გუნდს კომისიისთვის სწავლა-სწავლების პროცესისა და მიღწევების დემონსტრირების შესაძლებლობა მისცა.



დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა: შეხვედრა მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან. კომისიის ვიზიტამდე PYP საზოგადოების წევრები ჩართულები იყვნენ მოსამზადებელ სამუშაოებში: დაარედაქტირეს შეფასების, ინკლუზიის, ენის, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკები, შეავსეს თვითშეფასების კითხვარი, მოამზადეს სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი პორტფოლიოები, კვლევაზე დაფუძნებული სწავლის ფოტო და ვიდეო მასალა, მოსწავლეთა შეფასებულ ნაშრომები.

პროცესმა შეფასების კომისიას დაანახა სკოლის საზოგადოების ერთიანობა, განსხვავებულ კულტურათა მიმღეობა, სხვადასხვა საგნის მიმართულებით მაღალკვალიფიციური სწავლება და მუდმივი განვითარების მზაობა.

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის მოსწავლე ლუკა აჟიბა მუშაობს ვებპლატფორმის შექმნაზე, რომელიც აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით არსებული საერთაშორისო საზაფხულო ბანაკების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სადიპლომო პროგრამის CAS ელემენტის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის მოსწავლეებში ინიციატივიანობისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება. ლუკას ვებპლატფორმასთან მიმართებაში გრძელვადიანი გეგმები აქვს და სადიპლომო პროგრამის დასრულების შემდეგაც აპირებს, გააგრძელოს მასზე მუშაობა.



ლიტერატურა და შემოქმედებითობა

ქართული ენის გაკვეთილებზე მოსწავლეები გაეცნენ მწერალ მარიამ წიკლაურის მოთხრობას „ ჩემი აფრიკელი ბებია“. ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ პატარები შეხვდნენ ავტორს და შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გაუზიარეს. სტუმართან ერთად მათ მოთხრობაში გამოყენებული სიტყვებით ლექსი დაწერეს, მუსიკის მასწავლებლის დახმარებით კი ლექსი რეჟად აქციეს და შექმნეს სიმღერა მოთხრობისთვის „ჩემი აფრიკელი ბებია“. მოგვიანებით მე -5 კლასის მოსწავლეებმა ხელოვნების გაკვეთილებზე მოთხრობიდან მათთვის საყვარელი ეპიზოდების შესახებ ილუსტრაციებიც შექმნეს. ეს ყველაფერი თემატური გეგმის „ ვინ ვართ ჩვენ?“ ფარგლებში განხორციელდა და დააფიქრა მოზარდები პირად ურთიერთობებზე, იდენტობაზე, საზოგადოებაში მათ როლსა და პასუხისმგებლობებზე. მოსწავლეებმა განსხვავებული პერსპექტივიდან გაანალიზეს და რეალურ ცხოვრებასთან კავშირში აღიქვეს ყოველივე ზემოთხსენებული.

„ჯორჯ გორდონ ბაირონი და გალაკტიონ ტაბიძე“ გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

17 ნოემბერს „ევროპული სკოლის“ MYP-ის მე-9 და მე-10 კლასის ქართველმა და უცხოელმა მოსწავლეებმა პროექტის „ბაირონი და საქართველო“, „გალაკტიონი და ბაირონი“ ფარგლებში წარმოადგინეს მეტად საინტერესო პრეზენტაციები. პროექტს ხელმძღვანელობდნენ „ევროპული სკოლის“ მასწავლებლები: რუსუდან ბერიძე და ეკა დულაშვილი.

პროექტის მიზანი იყო, სტუდენტები გასცნობოდნენ სამეცნიერო პუბლიკაციებს ბაირონის შემოქმედებიდან ნაკლებად ცნობილი ფაქტების შესახებ, კერძოდ, მის პოეზიაში



საქართველოს ხსენების, მისი ლექსის „ თირზას“ პროტოტიპის საკითხებს, ასევე, ბაირონის გავლენას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე. ყველა ეს საკითხი კულტურათა დიალოგისა და თარგმნის კონტექსტით არის საინტერესო.

მოსწავლეებმა მომზადებული პრეზენტაციებით წარმოაჩინეს, რომ ყოველი ცალკე აღებული კულტურა თავის სპეციფიკურობასა და კონტრასტულობას განსაკუთრებულად მხოლოდ სხვა კულტურასთან ურთიერთქმედებისას, კულტურათა დიალოგის ჭრილში ავლენს და ეს ყველაზე კარგად მხატვრულ ლიტერატურაში აისახება.

MYP-ის მოსწავლეები აღნიშნულ საკითხებს გაეცნენ აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის მონოგრაფიების მიხედვით და ამავე პროექტის ფარგლებში მოისმინეს მისი ლექცია თემაზე „რა გითხრათ ახალი გალაკტიონზე“, რაც განსაკუთრებით შთაბეჭდავი და საინტერესო იყო მოსწავლეებისთვის, რადგან თავად მკვლევარი ესაუბრა მათ იმ საკითხებზე, რაზეც მოზარდებმა იმუშავეს.

„ევროპულ სკოლაში“ ენებისა და ლიტერატურის სწავლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის მოძიების, სისტემატიზაციისა და პრეზენტაციის უნარის განვითარება. სწორედ ამას შეუწყობს ხელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესრულებული აქტივობები.

ასამბლეა მენტალური ჯანმრთელობის შესახებ

10 ოქტომბერს მსოფლიო მენტალური ჯანმრთელობის დღეს აღნიშნავს. PYP მოსწავლეთა საბჭოს წევრებმა ამ საკითხზე ასამბლეა ჩაატარეს. მათ პრეზენტაცია მოამზადეს და იმსჯელეს მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე, წარმოადგინეს პოსტერები და საზოგადოებას შესთავაზეს მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნების და გაუმჯობესების გზები, შექმნეს ვიდეო ნაწარმოების მიხედვით, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხებოდა. მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს ყუთი „ მზად ვართ, მოგისმინოთ“, რომელშიც PYP პროგრამის მოსწავლეებს შეეძლებათ საკუთარი ფიქრების, გრძნობების, შფოთვების გაზიარება ბარათების სახით.

ინტერდისციპლინური სწავლა-სწავლების პროცესი „ევროპულ სკოლაში“

MYP პროგრამის მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის შეიქმნა სამი ინტერდისციპლინური თემატური გეგმა. სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მასწავლებლები დაწყვილდნენ და შეადგინეს განსაკუთრებით საინტერესო და ორიგინალური გეგმები. მოსწავლეებმა ინტერდისციპლინური თემების დასასრულს შთამბეჭდავი პროდუქტები შემოგვთავაზეს.

მე-8 კლასის მოსწავლეებმა ქართული ენისა და დრამის ინტერდისციპლინური თემის ფარგლებში „ევროპული სკოლის“ საექტო დარბაზში წარმოადგინეს სპექტაკლი. სპექტაკლში გამოყენებულ ანტიკური ბერძნული თეატრის სტილსა და ფორმას ორგანულად შეერწყა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პერსონაჟები და სიუჟეტი.

მე-9 კლასის მოსწავლეებმა (ინგლისური ენა და დიზაინი) შექმნეს შთამბეჭდავი ონლაინ ბლოგი, რომელშიც თავი მოიყარა განსხვავებულმა რესურსებმა და ინგლისურ ლიტერატურაში გავლილმა საინტერესო მასალამ.

მე-10 კლასის მოსწავლეებმა (გერმანული ენა და ქიმია) შექმნეს მრავალენოვანი პოსტერები. მათი მესიჯები ბუნების დაცვასა და პლანეტის გადარჩენას მიემდვნა.

ინტერდისციპლინური სწავლა-სწავლების პროცესის დასრულებისას მოსწავლეებმა გაანალიზეს გავლილი პროცესი და ამ ახალ გამოცდილებაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინური თემატური გეგმების დახმარებით ისინი მეტად გონებაგახსნილი და მოაზროვნე ადამიანები გახდნენ, ამასთან გაიმყარეს კომუნიკაციისა და მიღებული ცოდნის სხვა კონტექსტში გამოყენების უნარები. „ასე მეგონა, ჩემი გონება სარკმელივით გაიხსნა, ინფორმაცია კი ისე წრიულად ჩამელვარა, როგორც IB-ის ლოგოზე დატანილი“, - აღნიშნა ერთ-ერთმა მე-8 კლასის მოსწავლემ. მოსწავლეები კმაყოფილები დარჩნენ საბოლოო ნამუშევრებით და გამოთქვეს დიდი სურვილი, მომავალ წლებშიც მიიღონ მონაწილეობა ინტერდისციპლინური სწავლა-სწავლების პროგრამაში.



ანტი-ბულინგ კამპანია

#StrongerTogether არის ყოველწლიური კამპანია, რომელსაც მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური ახორციელებს. კამპანია ტრადიციულად იმართება ნოემბრის პირველ კვირაში. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ასამბლეა წელს 4 ნოემბერს ჩატარდა, რადგან ეს თარიღი სკოლაში ძალადობისა და ბულინგის წინააღმდეგ, მათ შორის კიბერბულინგის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს უკავშირდება. კამპანიის მიზანია მეგობრებთან, თანაკლასელებთან, ოჯახის წევრებთან პოზიტიური კომუნიკაციისა და ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობის ვიზუალიზაცია, ასევე იმის გააზრება, თუ რა მხარდაჭერას ვუწევთ ერთმანეთს ყოველდღიურად და როგორ გვეხმარება აღნიშნული ქმედება ცხოვრებისეული სირთულეებისა და გამოწვევების დაძლევაში.

მოსწავლეებთან ერთად აქცენტს ვაკეთებთ ერთმანეთის მხარდაჭერაზე, ჯანსაღ, პოზიტიურ ურთიერთობებზე, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის ემოციური კეთილდღეობისა და ზრდისთვის.

MYP-ის მოსწავლეები ამ ღონისძიებას უძღვნიან სპეციალურ ნამუშევრებს, კრეატიულ პოსტერებს, ნოველებს, გრაფიკული დიზაინის ნიმუშებს. ამ ფორმით MYP-ში ცვდილობთ, გავაძლიეროთ პოზიტიური ურთიერთობები და კომუნიკაცია, ასევე განვავითაროთ IB მოსწავლეების უნარ-ჩვევები.

#StrongerTogether არ არის მხოლოდ ბულინგის საწინააღმდეგო კამპანია, არამედ - მშვიდობისა და ერთმანეთის მხარდაჭერის იდეა, რომელიც გვეხმარება უკეთესი საზოგადოების შექმნაში!



სოციალურ საწარმოებთან თანამშრომლობა

მოსწავლეების პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბება ჩვენი სკოლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, სოციალურ საწარმოებთან თანამშრომლობა კი ამ მიზნის მიღწევაში გვებმარება. საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ სოციალური კაფე „მზიურის“ დამფუძნებელ ანა გოგუაძეს, რომელმაც მოსწავლეებს გაუზიარა წარმატების ისტორია და ღირებული გამოცდილება. სტუმარმა ისაუბრა სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე, მის კონკურენტულ უპირატესობად გარდაქმნაზე და ზოგადად, საზოგადოებაში სოციალური საწარმოების როლზე. შეხვედრისას გადაწყდა, რომ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს შეეძლებათ თავიანთი კლასგარეშე ღონისძიებების სოციალურ კაფე „მზიურში“ გამართვა ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. შესაბამისად ვგეგმავთ, რომ IB DP-ის მოსწავლეების CAS პროექტების პრეზენტაციები გავმართოთ შემოთავაზებულ სასიამოვნო გარემოში.



მიგრაციის ისტორიები

ტრანსდისციპლინური თემის „სად ვართ დროსა და სივრცეში?“ შესწავლისას მოსწავლეებმა მიგრაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები განიხილეს. ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებმა მხარი დაუჭირეს პატარა მეგობრებს და თავიანთი მიგრაციის ისტორიები გაუზიარეს ინტერვიუებში. PYP პროგრამის მეხუთეკლასელები გაიწაფნენ ინტერვიუს სტრუქტურის აგებასა და მისი ჩამორთმევის ეფექტური მეთოდების შემუშავებაში. მათ შეაგროვეს ინფორმაცია მიგრაციის მიზეზების შესახებ, გაეცნენ მიგრაციის ისტორიებს, მოსწავლეებმა გაიაზრეს ასიმილაციის სირთულეები, თუმცა იმასაც მიხვდნენ, რომ მასპინძელი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა, ენის შესწავლა მნიშვნელოვნად ეხმარება ადაპტაციის პროცესს. მოზარდებმა ინტერვიუები მიგრაციის განსხვავებულ ისტორიებზე ერთ წიგნად აკინძეს და PYP -ის ბიბლიოთეკას გადასცეს.

შეხვედრა ვისოლ ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დეპარტამენტის უფროსთან



კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა თანამედროვე ორგანიზაციების ფუნქციად, მათი მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილად იქცა და მიზნად ისახავს, კომპანიებისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას. კვლევები ცხადყოფს, რომ ეთიკური იმიჯი და სოციალური პასუხისმგებლობა მზარდ მნიშვნელობას იძენს თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის და სხვა

დაინტერესებული მხარეებისთვის. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები შეხვდნენ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიზნეს ჰოლდინგის, Wendy's და Dunkin Donuts-ის ფრანჩიზების მფლობელი კომპანია ვისოლ ჯგუფის PR და CSR დეპარტამენტის უფროსს. რუსუდან კბილაშვილმა მოსწავლეებს გაუზიარა ადგილობრივი და საერთაშორისო CSR პრაქტიკა და აუხსნა მისი მზარდი როლი ბრენდის რეპუტაციაში. პრაქტიკოსმა მენეჯერმა დაადასტურა სოციალური პასუხისმგებლობის აუცილებლობა კონკურენციაში წარმატებისთვის. სტუმარმა გამოთქვა ვისოლ ჯგუფის მზადყოფნა, ითანამშრომლოს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებთან ისეთი CAS პროექტების მიმართულებით, რომელთა მიზანიც სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაა.

მსოფლიო ეთიკის დღე ამერიკულ უმაღლეს სკოლაში

სტატიის ავტორი: ნინო თედორაძე, ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

კარნეგის საბჭოს მიერ დაწესებული ეთიკის მსოფლიო დღე 2021 წლის 20 ოქტომბერს ამერიკულ უმაღლეს სკოლაში აღინიშნა ჰიბრიდული კონფერენციით „განათლება აძლიერებს მომავალ ლიდერებს: იფიქრე ეთიკურად, იმოქმედე გლობალურად“. კონფერენციის ფარგლებში მოსწავლეებმა იმსჯელეს მათთვის მნიშვნელოვან ეთიკის გლობალურ საკითხებზე.

ეთიკის გლობალური დღე არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების ეთიკური ქმედების ხელშეწყობას. იგი ტარდება ყოველი ოქტომბრის მესამე ოთხშაბათს. ამერიკულ უმაღლეს სკოლაში ამ დღისთვის მიმდევნილ კონფერენციაში 8 მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის მე და მერი აბაშიძე ვლადიმირ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლიდან.

„კონფერენციაზე მივიღე ცოდნა იმის შესახებ, თუ რომელი ეთიკური საკითხები და პრობლემები დგას დღეს გლობალურ ასპარეზზე. მიმაჩნია, რომ ეთიკას, როგორც სფეროს, მეტი დრო და რესურსი უნდა დაეთმოს ჩვენს თაობაში, რათა მომავალში ეთიკური და სამართლიანი საზოგადოება შევქმნათ“, - ამბობს ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-11 ბ კლასის მოსწავლე ლუკა ჟამუტაშვილი. მისი ესე ეხებოდა არასამართლიან მოპყრობას სამუშაო და სოციალურ გარემოში.

ლუკა, რატომ გადაწყვიტე ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება?

ლუკა მჭედლიძე (ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-10 კლასი): „ჩემთვის ღონისძიება ძალიან საინტერესო და ინფორმატიული იყო. პირველ რიგში, ინფორმაციის კვლევის პროცესში გავეცანი უამრავ ახალ ფაქტობრივ მასალას გლობალური ეთიკის, კლიმატის საკითხების, ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ, მოვისმინე ჩემი თანაკლასელების ძალიან ინფორმატიული ესეები და პრეზენტაციები იმ პრობლემათა შესახებ, რომელთა წინაშეც დგას ადამიანი დღეს, ამასთან ერთად გავიაზრეთ, რა ზომები უნდა მივიღოთ მათ გამოსასწორებლად“, - აღნიშნა ლუკამ, რომლის ესეც ჰაერის დაბინძურებასა და ეთიკურ გადაწყვეტილებებს უკავშირდებოდა.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გაიზარდოს ხალხის ინტერესი ეთიკური საკითხების მიმართ?

ანა დანელია (ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-9 ა კლასი): „ვფიქრობ, ამ ღონისძიებაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ინტერესის გასაზრდელად ეს ღონისძიება უფრო ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის, მაგალითად, სკოლის ჰოლში უნდა იყოს სპეციალური პლაკატები ან რაიმე რეკლამა.“ ანამ კონფერენციაზე წარადგინა პრეზენტაცია დისკრიმინაციის ეთიკური განზომილებების შესახებ.

რატომ არის ასეთი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვანი, შანი?

შანი ლიხთ (ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-10 კლასი): „სკოლა მუდმივად გვამცავს საშუალებას, გამოვხატოთ საკუთარი თავი და მოსაზრებები სხვადასხვა თემაზე. ამ სახის კონფერენცია კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს აქტივიზმს და დისკუსიებს, რომლებშიც გატაცებით ერთვებიან მოსწავლეები“, - აღნიშნავს შანი, რომელმაც კონფერენციაზე ეთიკის გლობალურად გამოყენებაზე ისაუბრა.

რა გზა გაიარეთ საკონფერენციო მოხსენებაზე მუშაობისას და რა გამოცდილება მიიღეთ?

ანკა ჩხიკვაძე (ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-11 ა კლასი): „ჯერ დავეჩერე ესე, შემდეგ მოვამზადე პრეზენტაცია და წარმოვადგინე კონფერენციაზე. ჩემს გამოსვლაზე მუშაობისას შევიძინე ცოდნა გლობალურ ეთიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ამ გამოცდილებამ დამაფიქრა, რამდენად მნიშვნელოვანია გლობალური ეთიკა და რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ჩვენს ცხოვრებაზე. კონფერენციის დროს სხვათა პერსპექტივიდანაც შევხედე აქტუალურ პრობლემებს. მომეწონა პროექტზე მუშაობა და ვფიქრობ, რომ გლობალური ეთიკა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ გვინდა, შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ.“ ანკას პრეზენტაცია მომავალი ლიდერების გასამდიდრებლად გლობალური ეთიკის შესახებ საუბრის მნიშვნელობას უკავშირდებოდა.

რა გამოცდილება მიიღეთ კონფერენციაში მონაწილეობით? ისურვებდით ამ ტიპის აქტივობებში ხელახლა მონაწილეობას?

ნიკოლოზ ხადური (ამერიკული უმაღლესი სკოლა, მე-9 ა კლასი): „ეთიკის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული კონფერენცია არის პირველი ღონისძიება, რომელსაც ფიზიკურად დავესწარი. ამ ღონისძიებამ, გარდა იმისა, რომ ბევრი ახალი, საინტერესო უფროსი მეგობარი შემძინა, უფრო მეტად თავდაჯერებული გამხადა და სამომავლო კონფერენციებზე დასწრების სურვილი გამიორმაგა. იმის მაგივრად, რომ თავი ავარიდო აქტივობებს, საპირისპიროს ვაკეთებ იმ იმედით, რომ ისეთივე საინტერესო გამოცდილებას მივიღებ, როგორც ამ პროექტზე მუშაობისას.“ ნიკოლოზმა კონფერენციაზე წარადგინა პრეზენტაცია თემაზე „დისკრიმინაცია: ყველაზე აქტუალური ეთიკური საკითხი დღეს“.

კონფერენციის მონაწილე ყველა მოსწავლემ აღნიშნა, რომ მათ მიიღეს ახალი გამოცდილება და აღფრთოვანებული იყვნენ შედეგით. ამ კონფერენციამ მოიტანა უამრავი ახალი იდეა და უკეთესი მომავლის იმედი. ეთიკის მსოფლიო დღე ნიშნავს იმას, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოების მორალურ ღირებულებებსა და მომავალზე. ეს ღონისძიება არის პატარა ნაბიჯი, რომელიც დაგვხმარება ეთიკურობაში. სასურველია, მეტი ადამიანი შემოუერთდეს სამომავლოდ კონფერენციას. თუ თქვენ, მკითხველო, არ მიგიღიათ მონაწილეობა ეთიკის დღის გლობალურ კონფერენციაში, შემოუერთდით მას მომავალ წელს!



საზაფხულო კითხვის გამოწვევა



ამ ზაფხულს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ წიგნის კითხვის გამოწვევა გამოაცხადა. ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებმა, მათ შორის, ნიცა სხვიტარიძემ და მარიამ ბასარანმა, წიგნის კითხვის ამ გამოწვევაში მიიღეს მონაწილეობა.

ნიცა სხვიტარიძე (მე-8 კლასი): „ამ ზაფხულს გადავწყვიტე, რამდენიმე მშვენიერი წიგნისთვის დამეთმო ჩემი დრო: Willa of the Wood (ავტორი რომერტ ბიტი), Willa of the Dark Hollow (ავტორი რობერტ ბიტი) და I'll Give You the Sun (ავტორი ჯენდი ნელსონი).“

ამ სამმა წიგნმა შთაბაგონა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გამოცხადებულ საზაფხულო წიგნის კითხვის გამოწვევაში მიმეღო მონაწილეობა. გამოწვევა დამეხმარა, გამეგო ამ არაჩვეულებრივი წიგნების მნიშვნელობა და ღირებულება. უზომოდ მადლობელი ვიყავი, როდესაც ავტორის, რობერტ ბიტის შეტყობინება მივიღე. მან მიპასუხა თავისი შეფასებით და ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა ჩემს შესახებ ინფორმაცია. გაოგნებული და მოხარული ვარ, რომ მისგან პასუხი მივიღე და პირდაპირი კომუნიკაცია შევძელი ჩემს ერთ-ერთ საყვარელ უცხოელ ავტორთან!“

მარიამ ბასარანი (მე-9 ბ კლასი): „წიგნი, რომელიც ამ გამოწვევისთვის შევარჩიე, არის მეთ ჰაიგის The Midnight Library. წიგნი შფოთვითი დარღვევის მქონე პერსონაჟზე ფოკუსირდება. ეს გამორჩეული წიგნი დამეხმარა, გამეანალიზებინა რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც იგივეს გრძნობენ, რასაც მე, ამასთან, რთული სიტუაციების შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი ხდები, ვიდრე მანამდე იყავი“.

ნიცა და მარიამი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის ხელმოწერილი სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. ნიცა სხვიტარიძის სიხარული კი გააორმაგა საყვარელი ავტორის რობერტ ბიტის მოლოცვამ, რომელიც დაბადების დღეზე მიიღო ბიტის წიგნების წაკითხვის შემდეგ მწერლისთვის გაგზავნილი რეცენზიების პასუხად. ამ ფაქტმა არა მხოლოდ ნიცა, არამედ წიგნის ყველა მოყვარული გაახარა და წახალისა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდო

პრეზიდენტის საგანმანათლებლო ჯილდოების პროგრამის ფარგლებში ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-9 კლასის მოწავლეებს: ნიკოლოზ ხადურს, ანა დანელიასა და ანა დავითაშვილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდოები გადაეცათ. ისინი სკოლის საშუალო საფეხურზე გამორჩეული აკადემიური მიღწევებისთვის სერტიფიკატითა და გულსაბნევით დაჯილდოვდნენ.

ნიკოლოზ ხადური (მე-9 ა კლასი): „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდოს მიღება ჩემთვის უდიდესი პატივია, რამაც საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენა გამიღრმავა. წარმატება ყველა ადამიანისთვის ერთი და იგივე არ არის გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ჩვენგანს გვაქვს განსხვავებული მიზანი, რომლის მიღწევისკენაც მივისწრაფით. ზოგისთვის წარმატება ნიშნავს სამსახურში დაწინაურებას, სიმდიდრეს, ცნობადობას ან თუნდაც ახალი ველოსიპედის შეძენას. წარმატებას ყველასთვის განსხვავებული გემო აქვს, რომლის გასინჯვას შრომის გარეშე ვერც კი შევძლებთ. ჩემთვის წარმატებას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ჩემი მიზანია, რომ საკუთარი განათლებითა და მიღწევებით ყველგან საუკეთესო ვიყო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდოს მიღება ის დიდი მოტივაციაა, რაც კიდევ უფრო მეტად მაახლოვებს დასახულ მიზანთან. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შრომის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. როგორც ვინს ლამბარდიმ აღნიშნა: „ყველგან, გარდა ლექსიკონისა, ჯერ შრომა მოდის და შემდეგ წარმატება.“

ანა დანელია (მე-9 ა კლასი): „ჩემი ცხოვრების ადრეული ასაკიდან ვოცნებობდი, სამყაროზე გავლენა მომეხდინა. ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ამ პლანეტას რაღაც მისიით მოვევლინე და თუ არ შევეცდები ყველანაირად ადამიანების დახმარებას, მაშინ რა აზრი აქვს სიცოცხლეს? დიდი ხანია დავიწყე მიზნების დასახვა, რამაც მიბიძგა, თავდაუზოგავად ვიშრომო. ჩემი ოცნებები ძალიან სერიოზული და ძნელად მისაღწევია. მათ განსახორციელებლად მჭირდება საუკეთესო განათლება, ამიტომაც ვარ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში და ამიტომ მინდა სწავლის გაგრძელება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტში.

ჩემს საოცნებო უნივერსიტეტში მოხვედრა არც ისე ადვილია და მას შემდეგ, რაც AHS-ის მოსწავლე გავხდი, სულ დატვირთული ვარ: ვცდილობ საუკეთესო ქულების მიღებას, რაც შეიძლება მეტ ღონისძიებაში მონაწილეობას, საშინაო და კლასგარეშე დავალებების შესრულებას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდო არის უზარმაზარი ნაბიჯი ჩემი ოცნებისკენ და მე ძალიან მადლობელი ვარ ამ შესაძლებლობისთვის. ეს ჯილდო დიდი პატივი და წარმატებაა და ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი მიზნების მიღწევით მსურს, დავანახო ადამიანებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია და რომ ვერაფერი შეაჩერებს მათ ოცნებების რეალიზებაში. მინდა მოვუწოდო თანატოლებს, რომ ისწავლონ და იშრომონ თავიანთი მიზნების მისაღწევად. უსაზღვროდ მადლობელი ვარ და ვაგრძელებ გზას წარმატებისკენ.“

ანა დავითაშვილი (მე-9 ა კლასი): „ადრეულ ასაკში განსაკუთრებული მიზანი არ მქონია, ამიტომ საკმარისად არც ვსწავლობდი და არც ვშრომობდი, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როდესაც ამ სკოლაში გადმოვედი. აქ ვნახე ბევრი შესაძლებლობა და ვეცნობი უამრავ ახალ საგანს, რომელიც ჩემთვის უცხო და ძალიან საინტერესოა. მსიამოვნებს ისეთი თემების შესწავლა, რომლებიც ინსპირაციის მამლევენ, რომ უფრო მეტი ვისწავლო. მივხვდი, რომ მიზნის ქონა ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. ყოველთვის უნდა გქონდეს ისეთი რამ, რაც მოტივაციას შეგიწოდებ. ამიტომაც დავისახე მიზნად, რომ წარმატებული გავხდე და ყოველდღე დავიწყე მოწადინებულად სწავლა. ვიცი, რომ: „მიზნის მიღწევა შრომის გარეშე იგივეა, რაც ისეთი ადგილიდან მოსავლის აღება, სადაც არ დაგიტესტავს“(დეივიდ ბლაი). ვცდილობ, ვიშრომო მაქსიმალურად, რაც ამ ეტაპზე დამატებით აქტივობებში მონაწილეობით, დავალებების კეთებით, ბევრ საინტერესო ღონისძიებაში ჩართულობით გამოიხატება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდოს მიღება უდიდესი პატივია ჩემთვის. ამ ჯილდომ დამარწმუნა, რომ სიმძნელების გადასალახად გათენებული ღამეები, თავდაუზოგავი შრომა ყოველთვის ფასდება. ამ ჯილდოს წყალობით მივხვდი, რომ სწავლა ამ ყველაფრად ღირს. ეს მხოლოდ დასაწყისია, დიდი მოტივაცია და კიდევ ერთი ნაბიჯი წარმატებისაკენ.

საბოლოოდ, მინდა ყველა მოსწავლეს ვურჩიო, რომ განაგრძონ განათლების მიღება, იშრომონ და ეცადონ, ყველაფერს მიაღწიონ თავისით. უპირველეს ყოვლისა, დაისახონ მიზანი, რომლისთვისაც დაიხარჯებიან სიამოვნებით.“



ბაღის გახსნა

2021-2022 სასწავლო წელი ევროპულ საბავშვო ბაღში 4 ოქტომბერს დაიწყო. ბავშვებს ბაღის ეზო ფერადი ბუშტებით მორთული დახვდათ. მათ მხიარულ განცობაზე აღმზრდელებთან ერთად ზრუნავდნენ ჩვენი ბაღის მეგობრები: ზუზუ, მინი, სანი და ლუ.



ხელის დაბანის მსოფლიო დღე



15 ოქტომბერს ევროპულ საბავშვო ბაღში აღვნიშნეთ ხელის დაბანის მსოფლიო დღე. მასწავლებლებმა პატარებთან ისაუბრეს ხელის დაბანის წესების შესახებ, გაიხსენეს, თუ რა მნიშვნელოვანია ჰიგიენის ნორმების დაცვა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. ბავშვებმა დაამზადეს აპლიკაციები ბაქტერიებსა და ვირუსებზე, ნახეს საინტერესო ვიდეორგოლები იმის შესახებ, თუ როგორ ვებრძოლოთ მავნე მიკრობებს.



შემოდგომის გაცილება

შემოდგომის ბოლო დღე განსაკუთრებულად აღვნიშნეთ ჩვენს ბაღში. ბავშვებთან ერთად გავაკეთეთ უგემრიელესი ჩურჩხელები. პატარებმა სიხარულით გაუნაწილეს ოჯახის წევრებს თავიანთი ხელით დამზადებული ნუგბარი. განსაკუთრებით საინტერესო იყო ეს პროცესი ჩვენი უცხოელი მოსწავლეებისთვის.



პრეზენტაციის დღე

დეკემბრის ბოლოს ბაღის შვიდივე ჯგუფში მოეწყო განვლილი მასალის პრეზენტაცია. ჩვენმა პატარებმა სიხარულით უმასპინძლეს ოჯახის წევრებს და წარუდგინეს მათ თავიანთი ნამუშევრები. ოთახები მორთული იყო საახალწლოდ შექმნილი დეკორაციებით. მოეწყო წინასწარ ჩაწერილი ვიდეოს ჩვენება, სადაც პატარები საახალწლო ლექსებს ამბობენ. პრეზენტაციის დასასრულს პატარებმა შეასრულეს საახალწლო სიმღერებიც.